ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8053521

ნომერი: AR11156901

თარიღი : 14.08.2026

გაცემის თარიღი : 20.08.2026

გაცნობის თარიღი : 25.09.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, რაფიელ აგლაძის ქუჩა, N 49;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიაზი ნურიევი პ/ნ 12001009250
- გარდაბანი ს. ყარაჯალარი მე–10 ქ. N 25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათებიდან დგინდება რომ, სამსახურის მიერ 20.10.2015 წლის №2250314 გადაწყვეტილებით შეთანხმებული სამუშაოები ნაწარმოებია დარღვევით (5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა- ნაგებობა მოწყობილია საყრდენების გარეშე), საჭიროა საკითხი დააყეონთ 20.10.2015 წლის №2250314 გადაწყვეტილების კორექტირების კუთხით, სადაც განსახორციელებელი სამუშაოები დააკმაყოფილებს პირველი კლასის მოთხოვნებს.

ჩართულია ნომენკლატურის ცვლილების ღილაკი

ამასთან საკადასტრო რუკის მიხედვით ვერ დგინდება #1/1 შენობა/ნაგებობის კანონიერების საკითხი, გაითვალისწინეთ, რომ სამსახური უკანონო მშენებლობის შემდგომ განვითარებაზე ნებართვას ვერ გასცემს. (წარმოადგინეთ კანონიერება)

დამატებით: საჭიროა წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია/ამონაწერის განახლება. აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ობიექტის მესაკუთრის შპს „ევრომოტორსის“ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების მიერ გაცემული თანხმობა წინამდებარე განცხადებით განსახორციელებლ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით, ვინაიდან წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს აღნიშნულს.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი

ამ ეტაპზე ხარვეზების შესახებ ინფორმაციას გაცნობებთ ზოგადი სახით, ხოლო დაზუსტებული ინფორმაცია ხარვეზებისა და საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ გეცნობებათ სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ კანონით განსაზღვრულ ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.